

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. ზოგადი დებულებები

1. ეს დოკუმენტი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით (შემდგომში-სტანდარტი) განსაზღვრული სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3, მე-4 ან მე-5 დონესთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიას, ასევე პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებით (შემდგომში-პროგრამები) განსაზღვრული სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 დონესთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიას.
2. კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები ან/და ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სირთულის ხარისხი აღიწერება სტანდარტით/პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებით.
3. სწავლის შედეგების დონის დადგენის საფუძველია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (შემდგომში-ჩარჩო) შესაბამისი დონის აღმწერები - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“, „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ და ამ მეთოდოლოგიაში განსაზღვრული ასპექტები, რომელიც აღწერილია თითოეული დონის მიხედვით.
4. ჩარჩოს აღმწერები არაა ამომწურავი და სტანდარტი/პროგრამა სწავლის/დასაქმების სფეროს მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითვალისწინებდეს უფრო მეტ/მრავალფეროვან შედეგებს ვიდრე ეს აღმწერებშია მოცემული.
5. ჩარჩოს თითოეული დონის კომპლექსურობისა და მისი თითოეული კატეგორიის გაგების მიზნით, აუცილებელია ამ კატეგორიების ურთიერთკავშირში წაკითხვა, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.

2. ჩარჩოს დონის აღმწერების კატეგორიების განმარტება

2.1. ცოდნა და გაცნობიერება

2.1.1. ცოდნა ჩარჩოს მიზნებისათვის არის სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, კონცეფციების, პროცედურების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების

ასიმილაციის შედეგი. გაცნობიერება არის ნასწავლის ან მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობის გაგება და მოიცავს იდენტიფიცირებას, ინტერპრეტირებას, კლასიფიცირებას, ახსნა-განმარტებას, სისტემურ გააზრებას.

2.1.2. ცოდნისა და გაცნობიერების დიაპაზონი და სიღრმე ჩარჩოს დონეების მიხედვით იცვლება ერთი ან რამდენიმე მარტივი, საბაზისო ფაქტისა და პრინციპის ცოდნიდან და მარტივი ფაქტების გახსენებიდან სწავლის სფეროს ღრმა ცოდნამდე და უახლესი მიღწევების სისტემურ გააზრებამდე.

2.2. უნარი

2.2.1. უნარი გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და აღიწერება კოგნიტური (ლოგიკური, ინტუიტიური და კრეატიული აზროვნება) და პრაქტიკული (მოიცავს სათნადო მეთოდების, მასალების მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა) უნარებით. ჩარჩო მიუთითებს შემდეგ უნარებზე:

ა) დავალების შესასრულებლად საჭირო უნარი;

ბ) პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარი;

გ) კომუნიკაციის უნარი.

2.2.2. ჩარჩოს აღმწერებში შესასრულებელი დავალებისა და გადასაჭრელი პრობლემის მახასიათებელია სირთულე, რასაც უკავშირდება იმ უნარების სირთულე ან/და დიაპაზონი, რომელიც საჭიროა დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად.

2.2.3. ჩარჩოს დონეების მიხედვით კოგნიტური ან/და პრაქტიკული უნარები იცვლება სტრუქტურირებული დავალების შესრულებისა და მარტივი პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მცირე რაოდენობის საბაზო უნარებიდან კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფართო დიაპაზონის უნარებამდე;

2.2.4. კომუნიკაციის უნარი გულისხმობს იდეების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის შესაძლებლობას. ეს უნარი აღიწერება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) გადასაცემი ინფორმაციის სირთულე;

ბ) მიზნობრივი ჯგუფი;

გ) ინფორმაციის გადაცემის ფორმები და საშუალებები.

2.2.5. ინფორმაციის სირთულე იცვლება სტრუქტურირებული დავალების შესრულების შესახებ ინფორმაციიდან უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციამდე;

2.2.6. მიზნობრივი ჯგუფის რაოდენობა და მრავალფეროვნება იცვლება სპეციალისტებიდან არა სპეციალისტებამდე.

2.2.7. ინფორმაციის გადაცემის ფორმა ან/და საშუალებები არაა მკაფიოდ მოცემული. კომუნიკაციის ფორმები (ზეპირი ან წერილობითი) და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს კონტექსტს. გადაცემის ფორმა, ჩვეულებრივად, იცვლება მშობლიურ ენაზე სტანდარტული, მარტივი წერილობით ან/და ზეპირი შეტყობინებიდან/ანგარიშიდან, მშობლიურ ან/და უცხო ენაზე შესრულებულ პროექტამდე. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების საბაზო გამოყენებიდან მათ კრეატიულ და ინოვაციურ გამოყენებამდე.

2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

2.3.1. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა არის ცოდნისა და უნარების პასუხისმგებლობით, ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული გულისხმობს პირის შესაძლებლობას იმუშაოს ან/და ისწავლოს შესაბამის გარემოში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით.

ა) პასუხისმგებლობა უკავშირდება საქმიანობის ან/და სწავლის პროცესში პირის მიერ დაკავებული როლის/პოზიციის მოვალეობებს. პროფესიული ქცევის წესების/ღირებულებების/ეთიკის პრინციპების დაცვას და ასევე მოიცავს პირის დამოკიდებულებას საკუთარი და სხვების ქმედებებისადმი; საკუთარ და სხვების ქმედებების შეფასებას; საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ზრდასთან პირდაპირ კავშირშია დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას.

ბ) სწავლის უნარი (learning to learn) უკავშირდება საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასებას, საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობას და სწავლის სათანადო ავტონომიურობით განხორციელებას. აღნიშნული მოიცავს უნარებს, რომელიც აუცილებელია პირის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების საზღვრების შეფასებისა და გააზრებისათვის და საკუთარი საჭიროებების შესაბამისად შემდგომი სწავლის, პროფესიული განვითარების დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელებისათვის.

2.3.2. ჩარჩო ასევე აღწერს სწავლის ან/და საქმიანობის იმ კონტექსტს/გარემოს, სადაც ხდება ცოდნის და უნარების გამოყენება. კონტექსტი იცვლება ნაცნობი, კარგად სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი გარემოდან დინამიურ გარემომდე. რაც უფრო არაპროგნოზირებადი და ცვალებადი ხდება გარემო, მით უფრო იზრდება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ხარისხი.

3. სწავლის შედეგების განსაზღვრა სხვადასხვა დონეზე

- 3.1. სწავლის შედეგები განისაზღვრება სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ჩარჩოს, სტანდარტისა და პროგრამის დონეზე. შესაბამისად განსხვავდება მათი ჩამოყალიბების მიზნები და დეტალიზაციის ხარისხი.
- 3.2. ჩარჩოს სწავლის შედეგები არის ზოგადი, ნეიტრალური და არ უკავშირდება სწავლის ან დასაქმების არცერთ სფეროს. აღმწერებით განსაზღვრული შედეგები არ არის ამომწურავი, ჩარჩო ადგენს სწავლის შედეგების მინიმალურ ზღვარს. მისი მიზანია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, კვალიფიკაციებისადმი ნდობის ამაღლება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მხარდაჭერა.
- 3.3. ჩარჩოს დონის აღმწერი ქმნის საფუძველს სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის. ჩარჩოს დონის აღმწერების სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგებში პირდაპირ გადატანა დაუშვებელია.
- 3.4. სტანდარტით/პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები არის სწავლის/დასაქმების სფეროს შესაბამისი, კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადი. ამ დონეზე ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიზანია დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ძირითად ცოდნაზე, უნარებზე ან/და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხზე, რომელსაც ფლობს კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე პირი.
- 3.5. სტანდარტში/პროგრამაში ჩარჩოს დონის აღმწერების კატეგორიების ასახვა და ამ კატეგორიებზე განსხვავებული აქცენტების გაკეთება დამოკიდებულია სწავლის სფეროზე და სტანდარტის/პროგრამის მიზნებზე.

4. სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ზოგადი პრინციპები

- 4.1. სწავლის შედეგები იწერება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პერსპექტივიდან. ეს არის განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნის და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შესახებ.
- 4.2. სწავლის შედეგების აღმწერები სამ სფეროზე ნაწილდება:
- ა) ცოდნა და გაცნობიერება - კოგნიტური (ანუ შემეცნებითი) სფერო;
 - ბ) უნარი - ფსიქომოტორული და კოგნიტური სფერო;
 - გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - აფექტური (ემოციური) და კოგნიტური სფერო.
- 4.3. კოგნიტური (ანუ შემეცნებითი), ფსიქომოტორული და აფექტური (ანუ ემოციური) სფეროს გამომხატველი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის გამოიყენება სასწავლო მიზნების ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები (იხ. დანართი 2). ამასთან, დანართში მოცემული ზმნები არ არის ამომწურავი.

5. კოგნიტური (შემეცნებითი) სფერო

კოგნიტურ (შემეცნებით) სფეროში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების აღსაწერად გამოიყენება ბ. ბლუმის მიერ შემუშავებული ტაქსონომია (განახლებული ვერსია), რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგების კოგნიტურ (შემეცნებით) სფეროში 6 დონეზე ნაწილდება. აქედან ყველაზე დაბალია დამახსოვრების, ხოლო ყველაზე მაღალი - შექმნის დონე. ყველა დონეს აქვს თავისი მახასიათებელი, კერძოდ:

- **დამახსოვრება** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება სათანადო ინფორმაციის მეხსიერებიდან აღდგენა, ნასწავლის გახსენება, ამოცნობა, ტერმინოლოგიის შერჩევა. მაგ: პირს შეუძლია კანის ტიპების ჩამოთვლა.
- **გაგება** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება მასალის გაგება, ინტერპრეტაცია, ინფორმაციიდან აზრის გამოტანა, ინფორმაციის ახსნა. მაგ: პირს შეუძლია კანის ტიპების შედარება, მათ შორის მსგავსება-განსხვავების ჩვენება.
- **გამოყენება** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება ნაცნობ ან ახალ სიტუაციაში პროცედურების (ფაქტები, წესები, ტექნიკა, მეთოდები) შესრულება ან გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, ნასწავლი მასალის საფუძველზე პრობლემის თუ სიტუაციის ახალი კუთხით დანახვა და წარმოდგენა. მაგ: პირს შეუძლია კანის ტიპის დაკავშირება გამოსაყენებელი საცხის (კრემის) ტიპთან.
- **გაანალიზება** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება მასალის გაანალიზება, მისი შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და ნაწილების ურთიერთთან და მთლიან სტრუქტურასთან დამოკიდებულების განსაზღვრა; ტიპური შეცდომების აღმოჩენა; ფაქტებს, მოსაზრებებს, დაშვებებს შორის არსებული განსხვავებების ან მათ შორის არსებული კავშირების დანახვა. მაგ: პირს შეუძლია კანის ტიპებთან დაკავშირებული პრობლემების კლასიფიცირება.
- **შეფასება** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება მეთოდის, კონკრეტული მოსაზრების და ა.შ. შეფასება, თავისი მოსაზრების დასაბუთება, არგუმენტირება, კრიტერიუმებსა და სტანდარტზე დაფუძნებით გადაწყვეტილების მიღება. მაგ: პირს შეუძლია კანის ტიპის შეფასების საფუძველზე პაციენტისთვის ყველაზე ეფექტური პროცედურების შეთავაზება.
- **შექმნა** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება რაიმე ორიგინალურის ან ახლის შექმნა; ელემენტების იმდაგვარი გაერთიანება რაც ქმნის ახალ ლოგიკურ ერთიანობას ან ორიგინალურ პროდუქტს; მისთვის უცნობი პრობლემის გადაჭრა, ინფორმაციის გაანალიზება და ახსნის მოძებნა. მაგ: პირს შეუძლია კანის ტიპის შეფასების საფუძველზე პაციენტისთვის კანის მოვლის გეგმის შედგენა ჩასატარებელი პროცედურების და გამოსაყენებელი საცხების კომბინირების გზით.

ჩარჩოს „ცოდნა და გაცნობიერების“ აღმწერისთვის, „ცოდნის“ ნაწილის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება ზემოთ აღწერილი ტაქსონომიის პირველი სამი დონის შესაბამისად ფორმულირებული სწავლის შედეგები, ხოლო „გაცნობიერების“ გადმოსაცემად - მეოთხე-მეექვსე დონის შესაბამისად ფორმულირებული სწავლის შედეგები.

6. ფსიქომოტორული სფერო

ფსიქომოტორულ სფეროში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების აღსაწერად გამოიყენება რ. დეივის მიერ შემუშავებული ტაქსონომია. აღნიშნული სფეროს შესაბამისი სწავლის შედეგები უნარ-ჩვევათა შეძენაზეა ორიენტირებული. მათი შეძენა და გამომუშავება ხდება კუნთოვანი მოძრაობების საშუალებით, რომელიც იმართება ფსიქიკის მეშვეობით. ეს სფერო მოიცავს ისეთ ქცევებს, როგორცაა: აწყობა, ჭრა, ხაზვა, ხატვა, წერა და ა.შ. ამ სფეროში სწავლის შედეგის ჩამოყალიბება შედარებით რთულია, რადგან შეიძლება მოიცავდეს კოგნიტურ (შემეცნებით) მიმართულებასაც. ფსიქომოტორული სფეროს შესაბამისი ტაქსონომია ორგანიზებულია იერარქიული სისტემის სახით, სადაც მარტივი ქცევები ტაქსონომიის დასაწყისშია მოცემული, ზედა საფეხურებზე კი ქცევები თანდათან რთულდება და ავტომატიზირებული ხდება. ფსიქომოტორული სფეროს ტაქსონომიის საფეხურებია:

- **იმიტაცია** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება სხვისი ქმედების მიბაძვა და გამეორება. მაგ: იარაღის სწორად დაჭერა, საჭის დაჭერა და ა.შ.
- **მანიპულაცია** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება გარკვეული მოქმედებების შესრულება მითითებების, ინსტრუქციების მიხედვით (წერილობითი ან ზეპირი). მაგ: პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი პირი აძლევს ზეპირ ინსტრუქციას პირს ხელსაწყოების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- **სიზუსტე** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება მოქმედების შესრულება მითითებების გარეშე, დამოუკიდებლად. მაგ: დამოუკიდებლად ჩარხვა, ბურღვა და ა.შ.
- **ჩვევების კომბინირება** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება ახალი ამოცანის, მოთხოვნის შესასრულებლად ჩვევების ინტეგრირება. მაგ: სერვის პლიუსის მოთხოვნების დაცვით მომხმარებლისთვის საბანკო ანგარიშის გახსნა და ა.შ.
- **ნატურალიზაცია** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება მოქმედება ავტომატურად, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე. მაგ: ავტომობილის მართვა. ვენახის გასხვლა და ა.შ.

7. აფექტური (ანუ ემოციური) სფერო

აფექტურ (ანუ ემოციურ) სფეროში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების აღსაწერად გამოიყენება ბ. ბლუმის და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული ტაქსონომია. ის უკავშირდება ადამიანის ემოციებს, განწყობებს, გრძნობებსა და ღირებულებებს. აღნიშნული ტაქსონომიაც იერარქიულია და გამოხატავს კონკრეტული ადამიანი ან ჯგუფი როგორ იღებს და ითავისებს ამა თუ იმ განწყობასა და ღირებულებას. აფექტური სფერო აღწერს კონკრეტულ საკითხთან

მიმართებაში პირის მიერ ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბების დონეებს ცნობიერების ამალეებიდან დაწყებული ღირებულების გათავისებით და ამ ღირებულების დაცვით მოქმედებამდე. აფექტური (ემოციური) ტაქსონომიის მიხედვით სწავლის შედეგები ნაწილდება 5 დონეზე, საიდანაც ყველაზე დაბალია მიღების (გაცნობიერების), ხოლო ყველაზე მაღალი - ღირებულებათა სისტემის გათავისების დონე. ყველა დონეს აქვს თავისი მახასიათებელი, კერძოდ:

- **მოვლენის მიღება (გაცნობიერება)** - ამ დონეზე პირს მოეთხოვება, სულ მცირე, სტიმულის ცნობა. ეს პასიური პროცესია. ამ დონეზე პირს უნდა ჰქონდეს რაიმეს მოსმენის ან გაგების სურვილი. მაგ: უსმინო ლექციას; უყურო პრეზენტაციას და ა.შ.
- **მოვლენაზე პასუხის გაცემა** - ამ დონეზე პირი აქტიურია; მას მოეთხოვება გარკვეული არჩევანის გაკეთება შემოთავაზებულ ვარიანტებს შორის; პირს აქვს მოქმედების სურვილი და მოტივაცია. მაგ: მონაწილეობა დისკუსიაში; პრეზენტაციის გაკეთება, ინსტრუქციების მიყოლა და ა.შ.
- **გააზრება** - ამ დონეზე ინფორმაციის გადამუშავების შედეგად პირი იღებს და ითავისებს ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს; პირს აქვს საკუთარი შეხედულებები მოვლენებისა და საგნების შესახებ, თუმცა მას შესაძლოა არ ჰქონდეს მათი საჯაროდ გამოხატვის სურვილი. შესაბამისად, ეს დონე იცვლება უბრალო მიმღებლობიდან საკუთარ თავზე ვალდებულებების აღებამდე. მაგ: მოვლენის მიმღებლობა გამოხატულია როცა პირს აქვს სურვილი გაიუმჯობესოს გარკვეული უნარი, ხოლო ვალდებულების აღების დონე გამოხატულია, როცა პირი იღებს პასუხისმგებლობას და მუშაობს ამ უნარის გაუმჯობესებაზე.
- **ორგანიზება** - ამ დონეზე იდეები არა მარტო გაცნობიერებულია, არამედ ღირებულებათა სისტემის ნაწილი ხდება. ფორმირდება ღირებულებათა სისტემა. აქცენტი გადატანილია ღირებულებების შედარებაზე, დაკავშირებასა და სინთეზზე. მაგ: პირი მეტ დროს ხარჯავს მეცადინეობაზე, ვიდრე გართობაზე.
- **გათავისება** - ამ დონეზე პირი მოვლენებს აღიქვამს და იქცევა საკუთარი ღირებულებების შესაბამისად. აქვს ღირებულებების სიტემა რომელიც აკონტროლებს პირის ქცევას. ქცევა არის ყოვლისმომცველი, თანამიმდევრული, პროგნოზირებადი და რაც ყველაზე მთავარია პირისთვის დამახასიათებელი. სწავლის შედეგები შეეხება ცვლილებებისადმი სტუდენტის/მსმენელის მორგების/შეგუების ზოგად სქემას (პერსონალური, სოციალური, ემოციური).

8. სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების ჩარჩოს აღმწერებთან შესაბამისობის განსაზღვრა

8.1. სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების ჩარჩოს დონის აღმწერთან შესაბამისობის დადგენისთვის დაცული

უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ეფუძნება ამ მეთოდოლოგიაში მოცემულ ზოგად პრინციპებს;

ბ) თითოეული სწავლის შედეგი განიხილება, როგორც დამოუკიდებლად, ისე დანარჩენ შედეგებთან კავშირში, რათა ხელი შეეწყოს დონის კომპლექსურობის გაგებას;

გ) სწავლის შედეგების დონის განსაზღვრისას აუცილებელია ჩარჩოს ზედა და ქვედა დონეების აღმწერების განხილვაც;

8.2. სტანდარტით/პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონე დგინდება სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების დონის შესაბამისად. დაუშვებელია სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებული იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე. სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩარჩოს უფრო დაბალი დონის სწავლის შედეგები, თუმცა მათი რაოდენობა უნდა იყოს კვალიფიკაციის მისანიჭებლად ფორმულირებული სწავლის შედეგების ნახევარზე ნაკლები და არ უნდა უკავშირდებოდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროთი განსაზღვრული კონკრეტული პროფესიული სწავლის სფეროს.

8.3. სტანდარტით/პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონე დგინდება ამ მეთოდოლოგიის დანართი 1 - ით წარმოდგენილი ჩარჩოს დონის აღმწერებთან სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის ცხრილის გათვალისწინებით. ასევე, დონის დასადგენად გამოიყენება დანართი 2 -ით წარმოდგენილი ბლუმის და დეივის ტაქსონომიით განსაზღვრული ზმნები.

დანართი 1

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის ცხრილი

ჩარჩოს დონის აღმწერი	კრიტერიუმი	მახასიათებელი	II დონე	III დონე	IV დონე	V დონე
ცოდნა და გაცნობიერება		დიაპაზონი და სიღრმე	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს საბაზო ცოდნა და მისი გააზრება	ძირითადი ფაქტები, პრინციპები, პროცესები, მეთოდები, ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააზრება	ფაქტობრივ გარემოებებზე და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება	მრავალმხრივი, სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და მისი შესაძლებლობების გააზრება
უნარები	დავალების შესასრულებლად საჭირო უნარები	დავალების ტიპი	რუტინული, ერთგვაროვანი, კონკრეტული	რუტინული, ერთგვაროვანი, კონკრეტული	არაერთგვაროვანი	კომპლექსური
		დავალების სირთულე	საბაზო უნარების გამოყენება	უნარების ფართო სპექტრის გამოყენება	კოგნიტური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება	შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, მათ შორის, მონაცემების იდენტიფიცირება/ანალიზი/შეფასება

		პრობლემის ტიპი	ნაცნობი პრობლემები	გამოკვეთილი, ერთგვაროვანი პრობლემები	არაიდენტიფიცირებული, არაერთგვაროვანი პრობლემები	აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემები
	პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარები	პრობლემის სირთულე	სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენება (ფაქტების, პროცესების, მასალების შესახებ საბაზო ინფორმაციის მოძიების, შერჩევის, გაანალიზების გზით)	სათანადო ინსტრუმენტების გამოყენება (სათანადო წყაროების მოძიების, ამოცნობისა და ანალიზის გზით)	შესაბამისი ინსტრუმენტების იდენტიფიცირება, შესაბამისობის შეფასება და გამოყენება (ინფორმაციის მოძიების, შერჩევის, კრიტიკულად გააზრების გზით)	შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა, გამოყენება და შეფასება (სათანადო მონაცემების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და შეფასების გზით)
		გადასაცემი ინფორმაციის სირთულე	საკუთარი საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია	სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია	სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია	იდეები, სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია
	კომუნიკაციის უნარი	მიზნობრივი ჯგუფი	სპეციალისტები	სპეციალისტები, არა სპეციალისტები	სპეციალისტები, არა სპეციალისტები	სპეციალისტები, არა სპეციალისტები
		ინფორმაციის გადაცემის ფორმები და საშუალებები	არგუმენტირებული მსჯელობა კონტექსტის შესაბამისად. წერილობითი, ზეპირი ისტ გამოყენებით	წერილობითი, ზეპირი ისტ გამოყენებით.	სტრუქტურირებულად და არგუმენტირებულად. წერილობითი, ზეპირი ისტ გამოყენებით	სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად წერილობითი, ზეპირი ისტ გამოყენებით

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა	პასუხისმგებლობა	სამუშაო გარემო	სტრუქტურირებული, უცვლელი	პროგნოზირებადი, ნაწილობრივ ცვლადი	პროგნოზირებადი, ცვალეზადი	სწრაფად ცვალეზადი, არაპროგნოზირებადი
		როლი/პოზიცია	შემსრულებელი	შემსრულებელი	ზედამხედველი ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის. საქმიანობის შეფასება/გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება	პროცესების ზედამხედველი და მმართველი. საკუთარი და სხვების საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესება
		დამოუკიდებლობის ხარისხი	ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით შესრულება	პასუხისმგებლობის აღება საკუთარი დავალებების შესრულებაზე და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით შესრულება	საკუთარი საქმიანობის მართვა	სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება
	ავტონომიურობა	პროფესიული განვითარების შეფასება	საკუთარი საქმიანობის შეფასება	საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება	საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და გაუმჯობესება	საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების შეფასება და გაუმჯობესება
		სწავლის უნარი	საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	სწავლა ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით	სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით	საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა და სწავლა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით

დანართი 2

ბლუმის და დეივის ტაქსონომიები კოგნიტური (შემეცნებითი) სფერო

დამახსოვრება Remembering	გაგება Understanding	გამოყენება Applying	განალიზება Analyzing	შეფასება Evaluating	შექმნა Creating
<p>სათანადო ინფორმაციის მეხსიერებიდან აღდგენა, გახსენება ან ამოცნობა</p>	<p>მასალის გაგება, ინტერპრეტაცია, ინფორმაციიდან აზრის გამოტანა, ინფორმაციის ახსნა</p>	<p>მოცემულ/ ახალ სიტუაციაში პროცედურების (ფაქტები, წესები, ტექნიკა, მეთოდები) შესრულება ან გამოყენება პრობლემის გადაჭრა, ნასწავლი მასალის საფუძველზე პრობლემის თუ სიტუაციის ახალი კუთხით დანახვა და წარმოდგენა.</p>	<p>მასალის განალიზება, მისი შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და ნაწილების ურთიერთთან და მთლიან სტრუქტურასთან დამოკიდებულების განსაზღვრა; ტიპური შეცდომების აღმოჩენა; ფაქტებს, მოსაზრებებს, დაშვებებს შორის არსებული განსხვავებების ან მათ შორის არსებული კავშირების დანახვა. (დიფერენციერების, ორგანიზებისა და მიკუთვნების გზით)</p>	<p>მეთოდის, კონკრეტული მოსაზრების და ა.შ. შეფასება, თავისი მოსაზრების დასაბუთება, არგუმენტირება, კრიტიკიუმებსა და სტანდარტზე დაფუძნებით გადაწყვეტილების მიღება.</p>	<p>რაიმე ორიგინალურის ან ახლის შექმნა; ელემენტების იმდაგვარი გაერთიანება, რაც ქმნის ახალ, ლოგიკურ ერთიანობას ან ორიგინალურ პროდუქტს; მისთვის უცნობი პრობლემის გადაჭრა, ინფორმაციის გაანალიზება და ახსნის მოძებნა.</p>
ზმნები	ზმნები	ზმნები	ზმნები	ზმნები	ზმნები
<p>ციტირება, განსაზღვრა, აღწერა, იდენტიფიცირება, ჩამოთვლა, დასახელება, ჩვენება, ტაბულირება</p>	<p>აბსტრაგირება, კლასიფიცირება, კატეგორიებად დაყოფა, შედარება, აღწერა, დემონსტრირება,</p>	<p>გამოყენება, გაანგარიშება, შეცვლა, არჩევა, დასრულება, გამოთვლა, აგება/კონსტრუირე</p>	<p>განალიზება, კლასიფიცირება, კატეგორიებად დაყოფა, დანაწილება, შედარება, დაკავშირება, შეპირისპირება, კრიტიკა,</p>	<p>დადგენა, გამორკვევა, არგუმენტირება, შეფასება, დაკავშირება, შედარება, ამორჩევა, დასკვნის გაკეთება,</p>	<p>ადაპტირება, სიტემატიზირება, შეკრება/აწყობა, ფორმულირება, კლასიფიცირება, კომბინირება,</p>

<p>გადმოცემა/ კონსტატირება, რეპროდუცირება, აღდგენა, ჩვენება, დათვლა, დახაზვა, გახსენება, თანმიმდევრულად დაწყობა, მოყოლა, დაწერა და ა.შ.</p>	<p>ილუსტრირება, ინტერპრეტირება, ახსნა, განხილვა, მიმოხილვა, პერეფრაზირება, რეფორმულირება, ჩვენება, შერჩევა, შეჯამება, გადათარგმნა/ გადატანა, აზრის გამოტანა, განზოგადება და ა.შ.</p>	<p>ბა, დემონსტრირება, განვითარება, აღმოჩენა, დრამატიზება, გამოყენება, გამოცდა, ექსპერიმენტირება, ილუსტრირება, ინტერპრეტირება, მანიპულირება, მოდიფიცირება, ოპერირება, ორგანიზირება, პრაქტიკაში გამოყენება, პროგნოზირება, მომზადება, დაკავშირება, დაგეგმვა, ჩვენება, მონახაზის გაკეთება, გადაწყვეტა, გადატანა (ტრანსფერი), გამოყენება და ა.შ.</p>	<p>განხილვა, დასკვნის გაკეთება, განსაზღვრა, დიფერენცირება, გამორჩევა, განსხვავება, ექსპერიმენტირება, იდენტიფიცირება, ილუსტრირება, დასკვნის გაკეთება, შემოწმება, გამოკვლევა, მოწესრიგება, ორგანიზება, დაკავშირება, განცალკევება, სტრუქტურირება და ა.შ.</p>	<p>შეპირისპირება, დარწმუნება, გაკრიტიკება, გადაწყვეტა, დაცვა, გამორჩევა, ახსნა/განმარტება, ევალუაცია, დახარისხება, ინტერპრეტირება, დასაბუთება, გადაწყვეტილების მიღება, გაზომვა, პროგნოზირება, დადგენა, პრიორიტეტების დადგენა, განხილვა, რეკომენდაციების მომზადება, სტანდარტიზირება, დაკავშირება, გადაჭრა, გადახედვა, დაანგარიშება, შეჯამება, ტესტირება, ვალიდაცია, შეფასება და ა.შ.</p>	<p>განვითარება, მოდიფიცირება, ორგანიზება, რეორგანიზება, განზოგადება, ჩამოყალიბება შექმნა, დაგეგმვა, მომზადება, ინტეგრირება, შესწორება, რეკონსტრუირება, შეცვლა, სინთეზირება, ტესტირება და ა.შ.</p>
---	--	---	---	---	---

<p>იმიტაცია Imitation</p> <p>სხვისი მოქმედების მიბაძვა და გამეორება</p>	<p>მანიპულაცია Manipulation</p> <p>მოქმედების შესრულება მითითებების, ინსტრუქციის მიხედვით</p>	<p>სიზუსტე Precision</p> <p>მოქმედებების შესრულება მითითების გარეშე, დამოუკიდებლად</p>	<p>ჩვევების კომბინირება Articulation</p> <p>ახალი ამოცანის, მოთხოვნის შესასრულებლად ჩვევების ინტეგრირება</p>	<p>ნატურალიზაცია Naturalization</p> <p>მოქმედებები ავტომატურად, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე</p>
<p>ზმნები</p> <p>გაიმეორე მისდით შეეცადე დააკვირდი მიბაძე დუბლირება გააკეთე განასახიერე აღადგინე აირჩიე აღწერე განაცალკევე რეაგირება გქონდეს აწარმოე ესკიზი გააკეთე ასლი გააკეთე და ა.შ.</p>	<p>ზმნები</p> <p>შეასრულე განახორციელე ააშენე ააგე მიჰყევი მისდით წარმოადგინე ახსენი გააგრძელე რეაგირება განახორციელე აჩვენე და ა.შ.</p>	<p>ზმნები</p> <p>ზუსტად შეასრულე დაასრულე დემონსტრირება მოახდინე მიადწიე შეკრიბე შეამოწმე შეადგინე გადაამოწმე, გააკონტროლე დემონსტრირება გააკეთე დაშალე გაზომე შეაერთე შეაკეთე გააუმჯობესე და ა.შ.</p>	<p>ზმნები</p> <p>გააერთიანე შეაჯამე შეაჯერე ჩამოაყალიბე კოორდინირება მოახდინე გადააკეთე მოარგე გადახედე შეასწორე ადაპტირება გააკეთე შეცვალე გადაჭერი რეორგანიზება გააკეთე და ა.შ.</p>	<p>ზმნები</p> <p>ააგე მართე შექმენი დააზუსტე მოაწესრიგე სისტემაში მოიყვანე დაარეგულირე კომბინირება გააკეთე კონსტრუირება გააკეთე ინიცირება გააკეთე გამოიგონე მართე პროექტები მართე და ა.შ.</p>

აფექტური (ემოციური) სფერო

<p>მოვლენის მიღება (გაცნობიერება) Receiving Phenomena</p>	<p>მოვლენაზე პასუხის გაცემა Responding to Phenomena:</p>	<p>გააზრება Valuing</p>	<p>ორგანიზება Organization</p>	<p>გათავისება Internalizing values (characterization)</p>
<p>სტიმულის ცნობა, გაცნობიერებულობა, მზაობა მოისმინო, შერჩეული ყურადღება</p>	<p>აქტიური მონაწილეობა. ყურადღება და რეაქცია კონკრეტულ მოვლენაზე. სწავლის შედეგებმა შეიძლება აღნიშნონ სათანადო პასუხის გაცემა, პასუხის გაცემისათვის მზაობა ან კმაყოფილება რეაგირებაზე (მოტივაცია)</p>	<p>ღირებულებების მიღება და გათავისება. პროცესი მერყეობს მარტივი მიღებიდან უფრო კომპლექსურ ვალდებულებამდე. დაფასება ეფუძნება გარკვეული ღირებულებების ნაკრების გათავისებას, ხოლო ეს ღირებულებები გამოხატება პირის ღია/აშკარა ქცევისას და უმეტესწილად იდენტიფიცირებადია</p>	<p>ღირებულებების ორგანიზება პრიორიტეტების მიხედვით და ღირებულებათა სისტემის ფორმირება; ქცენტი გადატანილია ღირებულებების შედარებაზე, დაკავშირებასა და სინთეზზე.</p>	<p>აქვს ღირებულებების სიტემა რომელიც აკონტროლებს პირის ქცევას. ქცევა არის ყოვლისმომცველი, თანამიმდევრული, პროგნოზირებადი და რაც ყველაზე მთავარია პირისთვის დამახასიათებელი. სწავლის შედეგები შეეხება ცვლილებებისადმი სტუდენტის/მსმენელის მორგების/შეგუების ზოგად სქემას (პერსონალური, სოციალური, ემოციური)</p>
<p>ზმნები</p> <p>კითხვის დასმა არჩევა აღწერა გაყოლა გაცემა განლაგება იდენტიფიცირება დარქმევა პასუხის გაცემა გამოყენება</p>	<p>ზმნები</p> <p>პასუხის გაცემა, ეხმარება ასისტირება ასრულებს შერჩევა ესალმება დახმარება წარდგენა შეტყობინება არჩევა</p>	<p>ზმნები</p> <p>შესრულება დემონსტრირება ახსნა გაყოლა ჩამოყალიბება ინიცირება ჩართვა დაზუსტება შეთავაზება არჩევა</p>	<p>ზმნები</p> <p>გაყოლა შეცვლა მოწესრიგება გაერთიანება დაცვა ახსნა გაერთიანება შესწორება შეტანა გაცემაზრუნვას ორგანიზება</p>	<p>ზმნები</p> <p>მოქმედება გარჩევა/ განსხვავება, ჩვენება, გავლენის მოხდება, მოსმენა, შესწორების შეტანა, წარდგენა, გავარჯიშება/პრაქტიკაში გატარება, შეთავაზება,</p>

არჩევა და ა.შ.	წაკითხვა თქმა წერა და ა.შ.	გაზიარება მუშაობა და ა.შ.	დაკავშირება და ა.შ.	განსაზღვრა, კითხვის დასმა, შემოწმება, მომსახურება, მოგვარება, დადასტურება და ა.შ.
-------------------	-------------------------------------	---------------------------------	---------------------	--